

ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N13 საცხოვრებელი სახლის
N18 ბინაზე, მოქალაქეების ნიურა, ზაზა, თამაზი და კახაბერი ხვარეშიებისათვის
საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ბუკიას ქუჩა N13 საცხოვრებელი სახლის N18 ბინაში მცხოვრები მოქალაქეების ნიურა და ზაზა ხვარეშიების, თამაზი და კახაბერი ხვარეშიების წარმომადგენლის ნათია ხვარეშიას განცხადება /2013 წლის 16.07 №-7425/, რითაც ითხოვენ საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N13 საცხოვრებელი სახლის N18 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N13 საცხოვრებელი სახლის N18 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქეებს ნიურა, ზაზა, თამაზი და კახაბერი ხვარეშიებს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N13 საცხოვრებელი სახლის N18 ბინაზე /საერთო ფართობი 62,10 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 36,10 კვ.მ, დამხმარე ფართობი 26,00 კვ.მ./ მოქალაქეების ნიურა, ზაზა, თამაზი და კახაბერი ხვარეშიების სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

დ.კოპალიანი